სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

29 ივლისი 2026

N 21/10951

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 17 ივლისს შპს „მედიკალ ტექნოლოგმა“ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის **(გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში, შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების აღდგენისა და განთავსების საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება)** ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ განცხადება. განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/707ff626-d0ee-459c-b3e1-ca78a0d4b3a9. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 2 (ორი) ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10951-21-2-202607291218